

„რევმატოლოგია“

1. სპეციალობის დასახელება - „რევმატოლოგია“.

2. სპეციალობის შინაარსი:

რევმატოლოგია აერთიანებს და სწავლობს დაავადებებს და სინდრომებს, რომელთაც საფუძვლად უდევს შემაერთებული ქსოვილის სისტემური და/ან ლოკალური დაზიანება და რომელთა ერთ-ერთი ძირითადი კლინიკური გამოვლინებაა სახსროვანი სინდრომი. ექიმი რევმატოლოგი უზრუნველყოფს ხსენებული დაავადებების/სინდრომების არაქირურგიულ მკურნალობას.

3. ზოგადი ცოდნა:

- ა) სახსრების და ხერხემლის ანთებითი დაავადებები;
- ბ) შემაერთებული ქსოვილის სისტემური დაავადებები;
- გ) სისტემური ვასკულიტები;
- დ) რევმატული მანიფესტაციები სხვა სისტემური დაავადებების დროს;
- ე) ოსტეოართროზი (ოსტეოართრიტი);
- ვ) პერიარტიკულური რბილი ქსოვილების დაავადებები;
- ზ) მიკროკრისტალური ართრიტები.

4. დაავადებები და მდგომარეობები:

ICD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
I 00 - I 01	მწვავე რევმატული ცხელება	მართვა
M 02	რეაქტიული ართროპათიები	მართვა
M 03	პოსტინფექციური ართროპათიები კლასიფიცირებული სხვა რუბრიკებში	მართვა
M 05	რევმატოიდული ართრიტი სეროპოზიტიური	მართვა
M 06	სხვა რევმატოიდული ართრიტები	მართვა
M 07	ფსორიაზული და ენთეროპათიური ართროპათიები	მართვა
M 08	იუვენილური ართრიტები	მართვა
M 10	ნიკრისი (პოდაგრა)	მართვა
M 11	სხვა მიკროკრისტალური ართროპათიები	მართვა
M 12	სხვა სპეციფიკური ართროპათიები	მართვა
M 13	სხვა ართრიტები(დაუზუსტებელი)	მართვა
M 14	ართროპათიები კლასიფიცირებული სხვა რუბრიკებში	მართვა
M 15	პოლიოსტეოართროზი (ოსტეოართრიტი)	მართვა
M 16	კოქსართროზი (კოქსართრიტი)	მართვა
M 17	გონართროზი (გონართრიტი)	მართვა
M 18-19	პირველი მაჯა-ნების სახსრის ართროზი, სხვა სახსრების ოსტეოართროზი(ოსტეოართრიტი)	მართვა
M 30	კვანძოვანი პოლიარტერიიტი და მისი მონათესავე მდგომარეობები	მართვა

M 31	სხვა ნეკროზული ვასკულოპათიები	მართვა
M 32	სისტემური წითელი მგლურა	მართვა
M 33	დერმატო – პოლიმიოზიტი	მართვა
M 34	სისტემური სკლეროდერმია	მართვა
M 35	შემაერთებული ქსოვილის სხვა სისტემური დაზიანებები	მართვა
M 42	ხერხემლის სვეტის ოსტეოქონდროზი	მართვა
M 47	ხერხემლის სვეტის სპონდილოზი	მართვა
M 45	იდიოპათიკური მანკილოზებელი სპონდილიტი (სპონდილოართრიტი)	მართვა
M 46.0	ხერხემლის ენთეზოპათია	მართვა
M 46.1	საკროილიტი	მართვა
M 48.1	მანკილოზებელი ჰიპეროსტოზი (ფორესტიესადავადება)	მართვა
M 65–M 79	სინოვიური გარსებისა და მყესების დაზიანებები, რბილი ქსოვილების დაავადებები	მართვა
M 80–M 81	ოსტეოპოროზი	მართვა
M 93	ოსტეოქონდროპათიები	მართვა

5. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ექიმს, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს სპეციალობაში „რევმატოლოგია“, შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია:

ა.ა) სახსროვანი სინდრომის შეფასება: სიმეტრიული, მონო-, ოლიგო-, პოლიართრიტი,

ტკივილის ინტენსივობა და ხასიათი, პერიმეტრია, გონიომეტრია, ვერტებრომეტრია, საყრდენ–მამოძრავებელი აპარატის სპეციფიკური სიმპტომებისა და ინდექსების (ლეკენის, რიჩის, ლის, ტომაერის, შობერის და სხვა);

ა.ბ) სისხლის საერთო ანალიზი;

ა.გ) შარდის საერთო ანალიზი;

ა.დ) C რეაქტიული ცილა;

ა.ე) სერომუკოიდი;

ა.ვ) ანტისტრეპტოლიზინი 0;

ა.ზ) რევმატოიდული ფაქტორი;

ა.თ) ანტინუკლეარული ანტისხეულები;

ა.ი) ციკლური ანტიციტრულინური ანტისხეულები;

ა.კ) ანტისხეულები მუტილირებული ციტრულინური ვიმეტინის მიმართ;

ა.ლ) ანტისხეულები ორსპირალიანი დნმ-ის მიმართ;

ა.მ) კრიოგლობულინები;

ა.ნ) ანტისხეულები რიბონუკლეოპროტეინის მიმართ;

ა.ო) ანტი SCL-70;

ა.პ) ანტისინთეტაზური ანტისხეულები;

ა.ჟ) ანტინეიტროფილური ციტოპლაზმური ანტისხეულები;

ა.რ) ანტიფოსფოლიპიდური ანტისხეულები;

- ა.ს) ღვიძლის ფუნქციური სინჯები;
- ა.ტ) კოაგულოგრამა;
- ა.უ) კრეატინინი;
- ა.ფ) შარდოვანა;
- ა.ქ) შარდმჟავა სისხლში, შარდში;
- ა.ღ) კომპლემენტის C3, C4 კომპონენტი;
- ა.ყ) მიღებული სინოვიური სითხის კვლევის შედეგები;
- ა.შ) HLA B 27 ანტიგენი;
- ა.ჩ) HLA DR 4 ანტიგენი;
- ა.ც) კრეატინფოსფოკინაზა;
- ა.ძ) B და C ჰეპატიტის მარკერები;
- ა.წ) განავლის გამოკვლევა ფარულ სისხლდენაზე;
- ა.ჭ) სახსრების და ხერხემლის სვეტის R-გრაფია;
- ა.ხ) გულმკერდის R-გრაფია და კომპიუტერული ტომოგრაფია;
- ა.ჯ) სახსრების ულტრასონოგრაფია;
- ა.ჰ) სახსრების და ხერხემლის სვეტის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია;
- ა.ჰ1) სცინტიგრაფია -99m ტექნეციუმის გამოყენებით;
- ა.ჰ2) სინოვიური გარსის ბიოფტატი;
- ა.ჰ3) ეკგ და გულის ულტრასონოგრაფია;
- ა.ჰ4) დენსიტომეტრია.

ბ) ექიმს, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს სპეციალობაში „რევმატოლოგია“, შეუძლია შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:

- ბ.ა) სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ართროცენტეზი;
- ბ.ბ) პერიმეტრია, გონიომეტრია, ვერტებრომეტრია, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სპეციფიკური სიმპტომებისა და ინდექსების (ლეკენის, რიჩის, ლის, ტომაერის, შობერის და სხვა) განსაზღვრა;
- ბ.გ) დენსიტომეტრია.

6. სპეციალიზაცია

სახსრებისა და რბილი ქსოვილების ულტრაბგერითი კვლევა.